დასკვნა:**დ02. 3723328001**
თარიღი:**24/11/2023**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ“ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი და დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციაპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შინაარსი ნაწილობრივ აკმაყოფილებს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიას.

2. აღნიშნული მთავარი ფინანსური დოკუმენტით პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია” - დაფინანსება განისაზღვრა 6 315 000 ლარით, რაც მთლიანი საბიუჯეტო ასიგნებების (37 725 000 ლარი) 16,74%-ია და იგი გასული წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან (7 040 000 ლარი) შედარებით 10,30%ით ნაკლებია.

3. 2023 წლის დასაწყისისთვის, პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ - დაგეგმილ დონესთან მიმართებით, დასაგეგმი 2024 წლის ბიუჯეტში აღნიშნული პრიორიტეტის შემცირებული ოდენობით დაგეგმვა შესაბამის დასაბუთებას საჭიროებს. თუ, ბიუჯეტის ზემოთ აღნიშნული პრიორიტეტის საბიუჯეტო ასიგნებების გეგმიური მაჩვენებლის შემცირება გამოწვეულია მიმდინარე წლის ბიუჯეტში უკვე დაფიქსირებული შესრულების ტენდენციისა და 2022 წლის ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლის საკმაოდ მაღალი ნიშნულებით, მაშინ პრიორიტეტი 02 00 -ით განსაზღვრული დაფინანსების სიდიდე (6315,0 ათასი ლარი) შეიძლება პოზიტიურად შეფასდეს. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ - დაფინანსების მოცულობა შესადარ პერიოდთან შედარებით, სათანადო არგუმენტაციას საჭიროებს.

4. პრიორიტეტით - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ - შესასრულებლად განსაზღვრული პროგრამების / ქვეპროგრამების ნაწილი არ არის დაკონკრეტებული. შესაბამისად, მათი განხორციელების შედეგად დამდგარი შედეგების ინდიკატორები არასრულად ახასიათებს იმ ეფექტებს, რაც მოსალოდნელია მათი რეალიზაციის შემთხვევაში. სრულიად არადამაკმაყოფილებელია პროგრამების / ქვეპროგრამების აღწერილობითი ნაწილებიც, რაც მიუღებელია პროგრამულ ფორმატში მომზადებული ბიუჯეტისათვის

5. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიის უმრავლესობა მხარს უჭერს წინადადებას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის

პროექტის მერიისთვის დაბრუნების შესახებ, ზემოთ აღნიშნული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების განხილვისა და ბიუჯეტის პროექტში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი